ოქმი #18

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის

ქ. ცაგერი 06 დეკემბერი, 2023 წელი

საკრებულოს სხდომას ხელმძღვანელობდა საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე: რეზო ხეცურიანი

სხდომას ესწრებოდნენ: საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები: გ. გუგავა, მ. კოპალიანი

საკრებულოს წევრები: კ. მუშკუდიანი, თ. ჭაბუკიანი, ზ. ყურაშვილი, მ. ხაბულიანი, ო. ჩაკვეტძე, დ. მუშკუდიანი, ნ. საღინაძე, მ. მამარდაშვილი, თ. ნემსწვერიძე, ზ. მეშველიანი, ე. საღინაძე, გ. გოგებაშვილი, გ. გურგუჩიანი, ნ. ტვილდიანი, რ. ყურაშვილი, ბ. ახვლედიანი, ი. ყურაშვილი, გ. კოპალიანი, დ. მურცხვალაძე, გ. ახვლედიანი, ა. თვარაძე, ა. მახარობლიძე,

მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მ/შ: ქ. კოპალიანი

მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი: გ. ხმელიძე

მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი: ს. გვიშიანი

მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიულ საკითხთა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი: ი. ბურჯალიანი

მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის საბიუჯეტო დაგეგმვის, ფორმირებისა და ხაზინის განყოფილების უფროსი სპეციალისტი: ნ. კოპალიანი

საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი: ნ. მეგრელი

დღის წესრიგი

დადგენილებები:

1. ,,ცაგერის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ'' ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 23 დეკემბრის №38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

   /ლ.ზალკალიანი, მ.ლეთოდიანი/

2. ,,ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის შევსების, ჩაბარების, წარმოების და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ'' ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 2 ივნისის №13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

   /ლ. ზალკალიანი, ი. ბურჯალიანი/

3. ,,ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 7 მარტის №34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

   /ლ. ზალკალიანი, ს. გვიშიანი/

განკარგულებები:

1. ცაგერის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ცხრა თვის ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

/ჭ. ჭაბუკიანი, მ. ლეთოდიანი/

2. ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების - ქალაქ ცაგერში, რუსთაველის ქ. №65-ში მდებარე სამ სართულიანი შენობის (ს/კ 89.03.22.002) მესამე სართულზე 100.00 კვ.მ ფართის პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით (უსასყიდლო უზუფრუქტი) არსებობის ვადით ა(ა)იპ ,,ცაგერის ახალგაზრდობის, საზოგადოებასთან ურთიერთობის და პერსპექტიული დაგეგმარების ცენტრისათვის“ (ს/ნ:442570987) გადაცემაზე ცაგერის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

/ლ. ზალკალიანი, გ. ხმელიძე/

3. ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების - ქალაქ ცაგერში, რუსთაველის ქ. №59-ში მდებარე ორ სართულიანი შენობის (ს/კ 89.03.23.004) მეორე სართულზე არსებულ 58.00 კვ.მ ფართის პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით (უსასყიდლო უზუფრუქტი) არსებობის ვადით ა(ა)იპ ,,ქალთა და ბავშვთა უფლებების დაცვისა და გენდერული თანასწორობის ცენტრისთვის“ (ს/კ442569891) გადაცემაზე ცაგერის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

/ლ. ზალკალიანი, გ. ხმელიძე/

4. ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების - ქალაქ ცაგერში, რუსთაველის ქ. №59-ში მდებარე ორ სართულიანი შენობის (ს/კ 89.03.23.004; მეორე სართულზე მდებარე 50.00 კვ.მ ფართის) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით (უსასყიდლო უზუფრუქტი) არსებობის ვადით ა(ა)იპ ,,ადმინისტრაციულ ერთეულებში ადგილობრივი თვითმმართველობისა და ფერმერული მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის ცენტრისთვის“ (ს/ნ 442570978) გადაცემაზე ცაგერის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

/ლ. ზალკალიანი, გ. ხმელიძე/

5. ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების - სოფელ ბარდნალაში მდებარე შენობა-ნაგებობის (ს/კ 89.09.21.187 ფართით 1200.00 კვ.მ) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით (უსასყიდლო უზუფრუქტი) არსებობის ვადით ა(ა)იპ სკოლამდელი და სკოლისგარეშე მართვის ცენტრისთვის (ს/ნ 242574512) გადაცემაზე ცაგერის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

/ლ. ზალკალიანი, გ. ხმელიძე/

6. ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების - სოფელ ლასურიაშში (ს/კ 89.08.25.063; პირველ სართულზე 80.00 კვ.მ ფართის) და სოფელ წიფერჩში (ს/კ 89.09.21.001 -36.00 კვ.მ ფართის) მდებარე ამბულატორიების პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით (უსასყიდლო უზუფრუქტი) ა(ა)იპ- საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგისათვის გადაცემაზე ცაგერის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

/ლ. ზალკალიანი, გ. ხმელიძე/

7. კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - ცაგერის ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფის (Cageri LocalAction Group) დაფუძნებაში მონაწილეობისა და მასში გაწევრიანების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების მიზანშეწონილობაზე ცაგერის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.

/ლ. ზალკალიანი, მ. ქომეთიანი/

8. ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მერიის 2024 წლის პირველი კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

/ჭ. ჭაბუკიანი, ლ. ზალკალიანი, მ. თოდიძე, ზ. ხეცურიანი/

გადაწყდა, რომ სხდომაზე დღის წესრიგით წარმოდგენილ საკითხებზე კენჭისყრა მოეწყოს ღიად:

/საკრებულოს სხდომას ესწრებოდა 25 დეპუტატი/

დღის წესრიგი

დადგენილებები:

1. „ცაგერის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 23 დეკემბერის №38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/ლ. ზალკალიანი, მ. ლეთოდიანი/

მომხსენებელმა - მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის საბიუჯეტო დაგეგმვის, ფორმირებისა და ხაზინის განყოფილების უფროსმა სპეციალისტმა ნინო კოპალიანმა აღნიშნა, რომ ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში მეათე ცვლილების საფუძველია საქართველოს მთავრობის განკარგულება, რომლის საფუძველზეც საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტს გამოეყო არაუმეტეს 4066359 ლარი, რომელიც შემოსავლებში აისახება გრანტებში, ხოლო გადასახდელებში საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა.

აღსანიშნავია ასევე, რომ მიმდინარე ეტაპზე სპორტის პროგრამის და ღონისძიების ფინანსური უზრუნველყოფაა საჭირო ,,კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის განვითარების“ პრიორიტეტის ფარგლებში. დამატებით ფინანსური უზრუნველყოფის მიზნით ბიუჯეტით დამტკიცებულ პრიორიტეტებსა და პროგრამებს შორის მოხდეს თანხისშემდეგი გადანაწილება: შემცირდეს რეგიონალური პროექტებისა და ტექნიკური ზედამხედველობის დაფინანსება 7.5 ათ. ლარით და გაქიზარდოს ფრენბურთის კლუბი ,,ცაგერი“-ს სუბსიდირება 7.5 ათ. ლარით.

ცვლილების საფუძველია ასევე ცაგერის მუნიციპალიტეტსა და სს ,,ენერგო პრო ჯორჯია გენერაცია“-ს შორის გაფორმებული შეთანხმება, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის მირ სოფელ სპათაგორის ხიდთან მდინარის კალაპოტის დაღრმავების სამუშაოებს, რისთვისაც ,,ენერგო პრო ჯორჯია გენერაცია“-მ გამოყო 7 000 ლარი, რომელიც შემოსავლებში აისახება ნებაყოფილობთ ტრანსფერში გრანტების გარეშე, ხოლო ხარჯებში კეთლმოწყობის ღონისძიებები.

ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში მეათე ცვლილების საფუძველია ასევე სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით საქართველოს მთავრობის მიერ ცაგერის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი თანხა 1930.0 ათ. ლარი, რომელიც შემოსავლებში აისახება გრანტებში, ხოლო გადასახდელებში კეთილმოწყობის ღონისძიებები.

აზრი გამოთქვეს: კ. მუშკუდიანმა, გ. გუგავამ, რ. ხეცურინმა

აღნიშნული დადგენილების პროექტის განხილვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ

კენჭისყრაზე დააყენა საკითხი:

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 25-მა დეპუტატმა

დადგენილება მიღებული იქნა (თან ერთვის)

მომხრე: 22

წინააღმდეგი: 3

/გ. კოპალიანი, ი. ყურაშვილი, დ. მურცხვალაძე/

2. ,,ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის შევსების, ჩაბარების, წარმოების და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ'' ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 2 ივნისის №13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/ლ. ზალკალიანი, ი. ბურჯალიანი/

მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიულ საკითხთა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსმა იამზე ბურჯალიანმა განმარტა, რომ 2023 წლის 20 სექტემბერს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევთა კოდექსში შევიდა ცვლილება, რომელმაც განსაზღვრა მუნიციპალიტეტის მოვალეობები, აღნიშნულმა გამოიწვია ცვლილებების შეტანის აუცილებლობა ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 2 ივნისის 13 დადგენილებით დამტკიცებულ ,,ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმის შევსების, ჩაბარების, წარმოების და აღრიცხვა-ანგარიშგების წესში''. რეგისტრაციის სამსახურმა 172^8, 172^9 მუხლებთან დაკავშირებით მოგცა შენიშვნა, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმის შედგენაზე უფლებამოსილნი არიან ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის საჯარო მოსამსახურეები, სწორედ ამ ცვლილებით არის წარმოდგენილი აღნიშნული დადგენილების პროექტი.

აზრი გამოთქვეს: თ. ჭაბუკიანმა, დ. მუშკუდიანმა, რ. ხეცურიანმა

აღნიშნული დადგენილების პროექტის განხილვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი:

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 25-მა დეპუტატმა

დადგენილება მიღებული იქნა (თან ერთვის)

მომხრე: 25

წინააღმდეგი: 0

3. ,,ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 7 მარტის №34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/ლ. ზალკალიანი, ს. გვიშიანი/

მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსმა სოფიკო გვიშიანმა განმარტა, რომ აღნიშნულ დადგენილებაში ცვლილების საფუძველია საქართველოს ორგანული კანონი ,,თვითმმართველობის კოდექსი", კანონი ,,ნორმატიული აქტების შესახებ" და ,,საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი.

პრაქტიკამ ნათლად აჩვენა, რომ მცირე არქიტექტურულ-საინჟინრო პროექტების შეძენა ვერ ხერხდება დროულად, ადგილობრივ ბაზარზე ნაკლებად არის საპროექტო ჯგუფები, ხოლო ტერიტორიულად შორს მყოფი ორგანიზაციები არ ინტერესდებიან მცირე საპროექტო ღირებულებით, ამიტომ მუნიციპალიტეტს მცირე პროექტების შესყიდვისთვის რამდენჯერმე უხდება ტენდერში განთავსება და ზოგჯერ უშედეგოდ.

აღნიშნულის გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ გაძლიერდეს ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახური. კერძოდ, ინფრასტრუქტურის განყოფილებაში შეიქმნას ცალკე ჯგუფი, რომელიც უშუალოდ მოამზადებს მცირე არქიტექტურულ-საინჟინრო პროექტებს ექსპერტიზის გარეშე, რომელთა მიხედვით შესრულებული სამუშაოების ღირებულება არ აღემატება 50 000 ლარს.

აღნიშული ქმედება წინააღმდეგობაში არ მოდის საქართველოს კანონთან ,,სახელმწიფო შესყიდვების შეასხებ", ამასთანავე არ საჭიროებს საშტატო დანამატებს, რადგანაც უშუალოდ ხდება შიდა ორგანიზაციული გადანაცვლებები.

აზრი გამოთქვეს: მ. ხაბულიანმა, ო. ჩაკვეტაძემ, რ. ხეცურიანმა
აღნიშნული დადგენილების პროექტის განხილვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ
კენჭისყრაზე დააყენა საკითხი:
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 25-მა დეპუტატმა
დადგენილება მიღებული იქნა (თან ერთვის)
მომხრე: 25
წინააღმდეგი: 0

განკარგულებები:

1. ცაგერის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ცხრა თვის ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

/ჭ. ჭაბუკიანი, მ. ლეთოდიანი/

ინფორმაცია მიღებული იქნა ცნობად.
(განკარგულება თან ერთვის)

2. ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების - ქალაქ ცაგერში, რუსთაველის ქ. №65-ში მდებარე სამ სართულიანი შენობის (ს/კ 89.03.22.002) მესამე სართულზე 100.00 კვ.მ ფართის პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით (უსასყიდლო უზუფრუქტი) არსებობის ვადით ა(ა)იპ ,,ცაგერის ახალგაზრდობის, საზოგადოებასთან ურთიერთობის და პერსპექტიული დაგეგმარების ცენტრისათვის“ (ს/ნ:442570987) გადაცემაზე ცაგერის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

/ლ. ზალკალიანი, გ. ხმელიძე/

მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა გიორგი ხმელიძემ აღნიშნული განკარგულების პროექტთან დაკავშირებით განმარტა, რომ ზემოთ მითითებულ უძრავ ქონებაზე არსებულ შენობა-ნაგებობაში განთავსებულია ა(ა)იპ ,,ცაგერის ახალგაზრდობის, საზოგადოებასთან ურთიერთობის და პერსპექტიული დაგეგმარების ცენტრი“. დღესდღეობით საჭიროებაა, რომ ის როგორც მოსარგებლე დაფიქსირდეს საჯარო რეესტრის ამონაწერში. გაფორმდება შესაბამისი ,,უსასყიდლო უზუფრუქტი“-ს ხელშეკრულება არსებობის ვადით. ამ მიზნითაა მოთხოვნილი საკრებულოს თანხმობა.

აზრი გამოთქვეს: ზ. ყურაშვილმა, გ. გუგავამ, რ. ხეცურიანმა
აღნიშნული განკარგულების პროექტის განხილვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ
კენჭისყრაზე დააყენა საკითხი:
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 25-მა დეპუტატმა
განკარგულება მიღებული იქნა (თან ერთვის)
მომხრე: 22
წინააღმდეგი: 3
/გ. კოპალიანი, ი. ყურაშვილი, დ. მურცხვალაძე/

3. ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების - ქალაქ ცაგერში, რუსთაველის ქ. №59-ში მდებარე ორ სართულიანი შენობის (ს/კ 89.03.23.004) მეორე სართულზე არსებულ 58.00 კვ.მ ფართის პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით (უსასყიდლო უზუფრუქტი) არსებობის ვადით ა(ა)იპ ,,ქალთა და ბავშვთა უფლებების დაცვისა და გენდერული თანასწორობის ცენტრისთვის“ (ს/კ442569891) გადაცემაზე ცაგერის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

/ლ. ზალკალიანი, გ. ხმელიძე/

მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა გიორგი ხმელიძემ აღნიშნული განკარგულების პროექტთან დაკავშირებით განმარტა, რომ ზემოთ მითითებულ უძრავ ქონებაზე არსებულ შენობა-ნაგებობაში განთავსებულია ა(ა)იპ ,,ქალთა და ბავშვთა უფლებების დაცვისა და გენდერული თანასწორობის ცენტრი". დღესდღეობით საჭიროებაა, რომ ის როგორც მოსარგებლე დაფიქსირდეს საჯარო რეესტრის ამონაწერში. გაფორმდება შესაბამისი ,,უსასყიდლო უზუფრუქტი"-ს ხელშეკრულება არსებობის ვადით. ამ მიზნითაა მოთხოვნილი საკრებულოს თანხმობა.

აზრი გამოთქვეს: მ. კოპალიანმა, ე. საღინაძემ, რ. ხაცურიანმა
აღნიშნული განკარგულების პროექტის განხილვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ
კენჭისყრაზე დააყენა საკითხი:
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 25-მა დეპუტატმა
განკარგულება მიღებული იქნა (თან ერთვის)
მომხრე: 22
წინააღმდეგი: 3
/გ. კოპალიანი, ი. ყურაშვილი, დ. მურცხვალაძე/

4. ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების - ქალაქ ცაგერში, რუსთაველის ქ. №59-ში მდებარე ორ სართულიანი შენობის (ს/კ 89.03.23.004; მეორე სართულზე მდებარე 50.00 კვ.მ ფართის) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით (უსასყიდლო უზუფრუქტი) არსებობის ვადით ა(ა)იპ ,,ადმინისტრაციულ ერთეულებში ადგილობრივი თვითმმართველობისა და ფერმერული მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის ცენტრისთვის" (ს/ნ 442570978) გადაცემაზე ცაგერის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე.
/ლ. ზალკალიანი, გ. ხმელიძე/

მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა გიორგი ხმელიძემ აღნიშნული განკარგულების პროექტთან დაკავშირებით განმარტა, რომ ზემოთ მითითებულ უძრავ ქონებაზე არსებულ შენობა-ნაგებობაში განთავსებულია ა(ა)იპ ,,ადმინისტრაციულ ერთეულებში ადგილობრივი თვითმმართველობისა და ფერმერული მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი". დღესდღეობით საჭიროებაა, რომ ის როგორც მოსარგებლე დაფიქსირდეს საჯარო რეესტრის ამონაწერში. გაფორმდება შესაბამისი ,,უსასყიდლო უზუფრუქტი"-ს ხელშეკრულება არსებობის ვადით. ამ მიზნითაა მოთხოვნილი საკრებულოს თანხმობა.

აზრი გამოთქვეს: ო. ჩაკვეტაძემ, მ. ხაბულიანმა, რ. ხეცურიანმა
აღნიშნული განკარგულების პროექტის განხილვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ
კენჭისყრაზე დააყენა საკითხი:
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 25-მა დეპუტატმა
განკარგულება მიღებული იქნა (თან ერთვის)
მომხრე: 22
წინააღმდეგი: 3
/გ. კოპალიანი, ი. ყურაშვილი, დ. მურცხვალაძე/

5. ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების - სოფელ ბარდნალაში მდებარე შენობა-ნაგებობის (ს/კ 89.09.21.187 ფართით 1200.00 კვ.მ) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით (უსასყიდლო უზუფრუქტი) არსებობის ვადით ა(ა)იპ ,,სკოლამდელი და სკოლისგარეშე მართვის ცენტრისთვის" (ს/ნ 242574512) გადაცემაზე ცაგერის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე.
/ლ. ზალკალიანი, გ. ხმელიძე/

მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა გიორგი ხმელიძემ აღნიშნული განკარგულების პროექტთან დაკავშირებით განმარტა, რომ ზემოთ მითითებულ უძრავ ქონებაზე არსებულ შენობა-ნაგებობაში განთავსებულია ა(ა)იპ ,,სკოლამდელი და სკოლისგარეშე მართვის ცენტრი"-ს დაქვემდებარებაში მყოფი საბავშვო ბაღი. დღესდღეობით საჭიროებაა, რომ ის როგორც მოსარგებლე დაფიქსირდეს საჯარო რეესტრის ამონაწერში. გაფორმდება შესაბამისი ,,უსასყიდლო უზუფრუქტი"-ს ხელშეკრულება არსებობის ვადით. ამ მიზნითაა მოთხოვნილი საკრებულოს თანხმობა.

აზრი გამოთქვეს: ზ. ყურაშვილმა, გ. გუგავამ, რ. ხეცურიანმა
აღნიშნული განკარგულების პროექტის განხილვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ
კენჭისყრაზე დააყენა საკითხი:
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 25-მა დეპუტატმა
განკარგულება მიღებული იქნა (თან ერთვის)
მომხრე: 25
წინააღმდეგი: 0

6. ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების - სოფელ ლასურიაშში (ს/კ 89.08.25.063; პირველ სართულზე 80.00 კვ.მ ფართის) და სოფელ წიფერჩში (ს/კ 89.09.21.001 -36.00 კვ.მ ფართის) მდებარე ამბულატორიების პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით (უსასყიდლო უზუფრუქტი) ა(ა)იპ- საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგისათვის გადაცემაზე ცაგერის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

/ლ. ზალკალიანი, გ. ხმელიძე/

მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა გიორგი ხმელიძემ აღნიშნული განკარგულების პროექტთან დაკავშირებით განმარტა, რომ ზემოთ მითითებულ უძრავ ქონებებზე სოფელ ლასურიაშში ს/კ 89.08.25.063 (ამბულატორიისთვის განკუთვნილიფართი - პირველ სართულზე არსებული 80.00 კვ.მ.) და სოფელ წიფერჩში ს/კ 89.09.21.001 (ამბულატორიითვის განკუთვნილი ფართი - 36.00 კვ.მ.) მდებარე ამბულატორიების ,,უსასყიდლო უზუფრუქტი"-თ ორი წლის ვადით გადაცემა ,,საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგი"-სთვის მიზანშეწონილია 2023 წლის 03 ნოემბრის ,,სამედიცინო ჰოლდინგის" წერილის საფუძველზე.

აზრი გამოთქვეს: მ. ხაბულიანმა, ზ. ყურაშვილმა, რ. ხეცურიანმა
აღნიშნული განკარგულების პროექტის განხილვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ
კენჭისყრაზე დააყენა საკითხი:
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 25-მა დეპუტატმა
განკარგულება მიღებული იქნა (თან ერთვის)
მომხრე: 25
წინააღმდეგი: 0

7. კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - ცაგერის ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფის (Cageri LocalAction Group) დაფუძნებაში მონაწილეობისა და მასში გაწევრიანების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების მიზანშეწონილობაზე ცაგერის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.

/ლ. ზალკალიანი, მ. ქომეთიანი/

მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიულ საკითხთა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსმა იამზე ბურჯალიანმა ისაუბრა ზემოთ აღნიშნულ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, აღნიშნა, რომ ინოვაციებისა და რეფორმების ცენტრმა 2023 წლის 24 ნოემბერს წერილით მომართა მუნიციპალიტეტის მერიას, რომლითაც ითხოვს, რომ ცაგერის მუნიციპალიტეტი, როგორც იურიდიული პირი, გახდეს ცაგერის ადგილობრივი განვითარების ჯგუფის დამფუძნებელი და შესაბამისად წევრი ცაგერის მუნიციპალიტეტის მოსახლეობასთან ერთად, რომლებიც თავის მხრივ წარმოადგენენ სამოქალაქო, კერძო და საჯარო სექტორს. ჩვენი მუნიციპალიტეტი მზადაა მიიღოს შემოთავაზება და ჩაერთოს აღნიშნულ პროექტში. პროექტის მიზანია ხელი შეუწყოს სიღარიბის შემცირებას.

აზრი გამოთქვეს: ნ. ტვილდიანმა, თ. ჭაბუკიანმა, რ. ხეცურიანმა
აღნიშნული განკარგულების პროექტის განხილვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ
კენჭისყრაზე დააყენა საკითხი:
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 25-მა დეპუტატმა
განკარგულება მიღებული იქნა (თან ერთვის)
მომხრე: 20
წინააღმდეგი: 5
/გ. კოპალიანი, ი. ყურაშვილი, დ. მურცხვალაძე, ნ. ტვილდიანი, გ. ახვლედიანი/

8. ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მერიის 2024 წლის პირველი კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

/ჭ. ჭაბუკიანი, ლ. ზალკალიანი, მ. თოდიძე, ზ. ხეცურიანი/

აღნიშნული განკარგულება სხდომის თავმჯდომარემ დააყენა კენჭისყრაზე:
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 25-მა დეპუტატმა
განკარგულება მიღებული იქნა (თან ერთვის)
მომხრე: 25
წინააღმდეგი: 0

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ სიტყვა ითხოვა ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ლეჩხუმი მომავლისთვის“ თავმჯდომარემ გოგიტა ახვლედიანმა, აღნიშნა, რომ აუცილებელია საკრებულოს შენობის მესამე სართულზე არსებული სამუშაო ოთახების მოწესრიგება, შეეხო ცაგერის ნაგავსაყრელზე არსებულ მდგომარეობას.

აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით უპასუხა საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ რეზო ხეცურიანმა, აღნიშნა, რომ შესაძლებლობის ფარგლებში მოგვარდება საკითხი, რომელიც შენობის მესამე სართულს ეხება, რაც შეეხება ნაგავსაყრელს, ეს არის უზარმაზარი პროექტის ნაწილი, მიბმულია ქუთაისის ნაგავსაყრელის პროექტს, რომლიც გარკვეულ დროსთან არის დაკავშირებული. ნაგავსაყრელთან დაკავშირებით თავისი მოსაზრება დააფიქსირა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ გიორგი გუგავამ და აღნიშნა, რომ საკითხი ძალიან მნიშვნელოვანი და საყურადღებოა, ამიტომ საკრებულოში შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, რომელიც დაისახავს გეგმას და მაქსიმალურად მოკლე დროში მოგვარდება არსებული საკითხი.

ასევე სიტყვა ითხოვა ქ. ცაგერის მაჟორიტარმა დეპუტატმა ზაზა ყურაშვილმა, რომელმაც ისაუბრა ქალაქის ტერიტორიაზე მოსაგვარებელი საკითხების შესახებ, აღნიშნა, რომ ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ არის საკითხები, რომელთა გადაჭრაც აუცილებლი და გასათვალისწინებელია სამომავლოდ, კერძოდ: ნინოშვილის და აღმაშენებელის ქუჩის თავში ეგრეთწოდებული ,,ატეკის“ ტერიტორია საჭიროა გაიწმინდოს და მოწესრიგდეს. ქალაქის ცენტრალურ ქუჩაზე ბევრი რამ გაკეთდა, გალამაზდა, მაგრამ ამავე ქუჩაზე ჭყონდიდის, ცაგერისა და ლენტეხის ეპარქიის მიტროპოლიტის

რეზიდენციის გაგრძელებაზე და ასევე ძველი საავადმყოფოს ტერიტორიაზე ღობე არის ჩამოშლილი, რაც იერსახეს უკარგავს რუსთაველის ქუჩას. ასევე რუსთაველის ქუჩის თავში მოსაცდელთან წლების განმავლობაში ხდებოდა ნაგვის უნებართვო დაყრა, რის შედეგადაც მოხდა ამ ადგილის დამიწება, გაზაფხულზე, როცა ხდება მდინარე ცხენისწყლის ადიდება, მდინარე ნელ-ნელა შლის მიწის მასას, რაც ქმნის საშიშროებას მდინარე ცხენისწყალი ქალაქზე გადმოვიდეს, საჭიროა თავიდან ავიცილოთ უბედურება. ბაზრის ტერიტორიაზე ავტომობილების სადგურზე არსებული საპირფარეშო მოძველებულია და საჭიროებს გაახლებას, ამავე ტერიტორიაზე წლების წინ იყო სასმელი წყალი, რომელიც დღესდღეობით აღარ ფუნქციონირებს, აუცილებელია მისი აღდგენა. ქალაქის ტერიტორიაზე არსებული საკანალიზაციო ჭების სახურავები საჭიროებს ამოწევას, რადგან პრობლემას უქმნის მძღოლებს. ასევე აღნიშნა, რომ აღმაშენებლის ქუჩის თავში მოსახლეობა ითხოვს სკვერის და საფეხბურთო მოედნის გაკეთებას.

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები დაეთანხმნენ იმ საკითხების მოგვარებას, რომელიც ცაგერის მაჟორიტარმა დეპუტატმა ზაზა ყურაშვილმა აღნიშნა, საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ რეზო ხეცურიანმა განმარტა, რომ ეს საკითხები სხვა დაგეგმილ საკითხებთან ერთად სამომავლოდ აუცილებლად მოგვარდება.

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე: რეზო ხეცურიანი